

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის

ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>მ</sup> მუხლის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩვეელთა საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და წდობის მქონე პირი.

3. დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლისა და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლისა.

4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

5. პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (საკონტაქტო მონაცემების მითითებით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩვეელთა საბჭოს სახელზე და შემდეგი დოკუმენტები:

5.1 წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები;

5.2 CV (როგორც ქაღალდის ვერსია, ასევე, ელექტრონული ფორმატი);

5.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.4 ცნობა იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

5.5 სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

5.6 სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

5.7 ხელწერილი, რომ კანდიდატი გაეცნო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.

6. დირექტორობის კანდიდატებმა წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე - ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. #41, 2013 წლის 13 ნოემბრიდან 2013 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით. განცხადებები მიიღება მხოლოდ სამუშაო დღეებში, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორობის კანდიდატი არ წარმოადგენს ან/და არასრულყოფილად წარმოადგენს წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩველთა საბჭო მას დაუდგენს ხარვეზს, რომელიც გამოსწორებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, პირი არ დარეგისტრირდება კანდიდატად და შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში.

8. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შერჩევის საფუძველზე, გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

9. მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება. გასაუბრების შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული კანდიდატი.

10. მე-2 ტურის დანიშვნის ვადა, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები მრჩველთა საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.

11. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში არც ერთი კანდიდატის მიერ არ იქნება წარმოდგენილი წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კონკურსი გამოცხადდება ჩაშლილად და მრჩველთა საბჭო დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით ღია კონკურსს ხელახლა გამოაცხადებს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

12. წინამდებარე განცხადება განთავსდეს ვებ-გვერდზე [sjar.tv.ge](http://sjar.tv.ge).

ზაზა ხალვაში

სსიპ „საზოგადოებრივი-მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

მრჩველთა საბჭოს თავმჯდომარე